ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ
გაწეული მუშაობის შესახებ
ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ეროდი გორდელაძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება
(ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც
არის საკრებულოს წევრი: სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა , ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია.

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს
წევრი: საკრებულოს უმრავლესობის წევრი.

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით, - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში): პროპორციული სიით.
საანგარიშო პერიოდი: 01. 10.2023 – 01.10. 2024 წ.
ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე): მორიგი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 14
საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 12

2. სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც
არის საკრებულოს წევრი: 27
საკრებულოს წევრის მიერ კომისი(ებ)ის სხდომებზე დასწრება: 21

3. სულ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა (ასეთის
არსებობის შემთხვევაში): 2
საკრებულოს წევრის მიერ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე დასწრება

(ასეთის არსებობის შემთხვევაში): 2

4. სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა: 14

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება: 12

5. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა საკრებულოს 1 დადგენილება, საკრებულოს 3 განკარგულება

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცება; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი; სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები; სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამების განხორციელების წესი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმა.

7. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა: -

8. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა: 20

საკრებულოს წევრის შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა: 125

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: სასმელი წყლის მიწოდების, გზების, ხიდების, მილხიდებისა და ცხაურების მოწყობის საქმეში დახმარების გაწევა. ოპერაციებისა და სამკურნალო მედიკამენტების შესაძენი თანხების გამოყოფაში დახმარება. სარწყავი წყლის არხების გაწმენდა, სტიქიისა და მეწყრული პროცესების შედეგად წარმოშობილი პრობლემების მოგვარებაში დახმარება; ბეტონის საფარის მოწყობა.

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები): მოსახლეობის მოთხოვნების თაობაზე ინფორმაცია მიწოდებული იქნა აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის, რის შედეგადაც რეაბილიტაცია ჩაუტარდა საბავშვო ბაღის შენობა; თითქმის დასრულდა სოფ. მშვიდობაურში სასმელის წყლის მილების მოწყობა; შეკეთდა მშვიდობაურის სკოლის შენობა; მოეწყო ბეტონის საფარი. ასფალტირებული იქნა ბახვი-ფამფალეთის დამაკავშირებელ საავტომობილო გზის მონაკვეთი.

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა: მონაწილეობას ვღებულობდი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ მუშაობაში; სხვადასხვა ტრენინგ-სემინარებში მონაწილეობა (2-ჯერ).

12. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობებით მიღებულ შედეგები: სკოლამდელი დაწესებულების შენობის კეთილმოწყობა; გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა, მოეწყო ასფალტისა და ბეტონის საფარი; გაუმჯობესდა სასმელი წყლის მიწოდება; წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებული სერვისი მიეწოდა სოციალურად დაუცველ და ეკონომიურად შეჭირვებულებს; სტიქიის შედეგად დაზარალებულთა არაერთ ოჯახს მიეცა ხის მასალა და თუნუქის სახურავი.

13. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ: მეწყერის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის საქმეში სათანადო დახმარების გაწევა; ინფრასტრუქტურის მშენებლობის გაძლიერება; სკოლამდელი აღზრდის, სპორტისა და განათლების სფეროს ხელშეწყობა; ადამიანის უფლებებზე და თავისუფლებაზე ზრუნვა გენდერულ თანასწორობის გათვალისწინებით.

ანგარიშის მომზადების თარიღი: 19.10.2024 წ.

ანგარიშის წარდგენის თარიღი: 29.10.2024 წ.

ხელმოწერა _____